

# 060

№ 19

კვირა 13 თობათე

№ 19

თ ი ნ ა რ ა ს ი ს :

შინაური მიმახილება; ბედი შეტანისა ა. შავშია-  
შვილისა; საზოგადოებრივი დაცუმა; სიმახინჯე,  
დრამა—6. შიუკაშვილისა; თბილისის თავად-  
აზნაურთა ქრებას გაძირ — დამოუკიდებელისა;  
ნუკალ ხანი — ივ. ბუქურაულისა.

1910 წ.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

**რედაქცია** უმორჩილესად სთხოვს ხელის-მომწერთ, ხელის მოწერის  
ფულის შემოტანა დააჩქარონ.

## შინაური მიმოხილვა

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ დაუ-  
კვირდეთ, ბევრს არა სასურველს, საზოგადოებრი-  
ვობის საწინააღმდეგო მიღრეკილებას შეენიშნავთ.  
სხვათა შირის საქმარისია ამა თუ იმ პირმა რამე  
საზოგადოებრივი ადგილი ხელში ჩაიგდოს, რომ  
სრულიად შეიიცალოს, გაიბეროს და ყოველი კრი-  
ტიკა მისდამი რწმუნებულ საქმისა თავის პირად შე-  
ურაცხოფად ჩასთვალოს. ეს შენ-ჩემობია, ეს მიღ-  
რეკილება კრიტიკის ალაგმვისა, ეს სურვილი ყვე-  
ლას ჩატუმებისა ჩვენში ქმის ისეთ პირობებს, რო-  
მელთა შემწერით მიუღომელი, პირუთონელი კრი-  
ტიკა შეუძლებელი გახდა. და თუ ვინმეს მოქმედე-  
ბას შეეხეთ, აუკილებლივ შურისძიებას უნდა ელო-  
დეთ. ამიტომაც ჩვენს ნამდვილთ, ხოლო უფრო  
ხშირად ნამალიდე საზოგადო მოღვაწეთ ყოველ-  
თვის აკლიათ სულიერი სიმშეიდე და გულაბილო-  
ბა. შეუძლებელია რომელიმე დიდი საქმე აწარმო-  
ვოთ ისე, რომ რამე შეცდომა არ მოგივადეთ,  
მით უმეტესად ჩვენში, საცა ერთს საზოგადოებისა-  
თვის თავდადებულს ხუთი და ათი საზოგადოების  
მტერი გვერდში უდგას და ცბიერობით შეიარაღე-  
ბული წურბელასავით საზოგადო საქმეს ეტანება  
თავის პირად გამორჩენისათვის. მაგრამ მიუხედავად  
ამისა აბა ერთი მაგალითი დაგვისახელეთ, რომ რო-  
მელიმე საზოგადო მოღვაწეს თვითონ თავის პირით  
ელიარებინოს — ამ საქმეში ამ მართლაც შევცდითო  
პირიქით რაც სისულელე და საზოგადოებისთვის სა  
ზარალო საქმე არ უნდა მოიმოქმედოს ამა თუ იმ  
პირმა, მაინც თავის მოვალეობად სთვლის ქება-დი-

დებით მოიხსენიოს თავისი მოღვაწეობა და ყოველი  
ლონე ილონოს, რათა შავი თეთრად დაგვანახვოს.  
ძნელია ასეთ პირობებში პირუთვნელი კრიტიკა და  
მიუდგომელი განსჯა. მით უფრო საჭირო და ძირ-  
ფასია ჩვენთვის პირდაპირობა და მოურილებელი  
კრიტიკა იქ, სადაც საზოგადო საქმე თითქო საპი-  
რადო საქმედ გაუხდიათ.

\* \*

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წლე-  
ვანდელ კრებაზე ერთი ფრიად საგულისხმიერო სა-  
კითხი იქნა წმოყენებული. ამ ბოლო დროს ქართუ-  
კანეთის თავად-აზნაურობა მეტად მოსაწონ გზას და-  
დგა. ის იძნეს კერძო საკუთრებას და აჩალებს სხვა და  
სხვა სამრეწველო მომგებიან საქმეს. მაგრამ რამდე-  
ნადაც ეს მიღრეკილება საქებური და სასურველია,  
იმდენადე სიფრთხილე და წინდახედულობა გვმარ-  
თებს. რამდენადაც ფრთხილად ვიქნებით. რამდენა-  
დაც წინასწარ ავწონ-დავწონთ და განცსჯით ჩვენს  
მოქმედებას, იმდენად საქმისთვის უმჯობესი იქნება.  
გვვონია, შეცდომები საქმარისი ჩაიგიდინეთ, რომ  
ახლა მაინც სიფრთხილე ვიწავლოთ. მაგრამ ისტო-  
რია რომ ყველასთვის გაკვეთილი იყოს, აქმდის  
კაცობრიობა ბელნიერი იქნებოდა. ჩვენს თავად-აზნა-  
ურობისთვის ისტორია, მისივე წარსული მოქმედე-  
ბა თითქო გაქრა. კრებაზე ის აზრი გამოითქვა, რომ  
რაღაც თავად-აზნაურობა ყოველ წლივ საქმარისად  
დიდ თანხას ხარჯავს სხვა და სხვა საზოგადო საქმე-  
ზე, რაღაც ამავე თავად-აზნაურობას საკუთრებაც  
აქვს, რომელიც მოითხოვს მოვლას, ხარჯებს და  
სხვა, ამიტომ ავირჩიოთ საფინანსო კოშისია, რომე-  
ლიც ყოველილე ნაბიჯს ჩვენი მოქმედებისა ხარ-  
ჯების სფერაში ასწონ-დასწონს, განსაკუთრებით

შეისწავლის ყოველივე საკითხი და შემდეგ თავის მოსაზრებები წარუდგენს დებუტიათა საკურაცულოს და საზოგადო კრებას. პირველად ამ წინადაღებას წინააღმდე თითქო არავინ იყო, თვით კრების თავმჯდომარე, თავის-აზნაურობას წინამძღვრობის სიამოცებით მიეცება წინადაღების. მაგრამ არ გასულა ორი დღე და როგორც კრების თავმჯდომარე წინამძღვრობა, ისე უმეტესობაში ამ აუცილებელ და ფრიად საჭირო ლოინისძიებაში თითქო პირადი შეურაცყოფაც კი დაინახეს, საკითხი გაამწვავეს და კამათს მიმართულება მისცეს, რაც არავითარ საზოგადოებაში სასურველი არ არის. ჩვენს გამოჩენილ და ძლიერს მოღვაწეს უსაყველურებლით—მეტად თავმოყვარენი და თვით ნებობის მიმღევარი არიან. ეხლა ეს თვითნებობა პრინციპად სურთ აღიარონ. ფრიად სამწუხაროა ასეთი მოვლენა, ფრიად სამწუხაროა, როცა საზოგადო მოღვაწე საზოგადოებრივ პრინციპს უარყოფს და სასარგებლო საქმეს ყალბად გაფეხულ თავმოყვარების უპირდაპირებს.

\* \*

ჩვენი თეატრი რომ ვერ არის მკვიდრ ნიადაგზე დამდგრი, ეს ყველასათვის ცხადია. და პირველი მიზემი ასეთ მდგრადებისა არის უსახსრობა. მაგრამ მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა, თეატრი ჩვენთვის ისეთი წმინდა და დიდმისშვერელოვანი დაწესებულებაა, რომ არავითარ მსხვერპლს არ უნდა დავერიდოთ მის ასაყვავებლად. ხოლო როგორც ზეობრივს, ისე კონცერტის დახმარებას მარტო საზოგადოებისგან უნდა ვყლოდეთ. ამიტომაც საზოგადოების ძალის გაძლიერება, მისი მეტი უურადლება ჩვენ საქმეს წინ წასწევს და ისეთ კალაპოტში ჩააგდებს, როცა სცენის მუშაკთ შეეძლებათ გულდასმთ და სიყვარულით ემსახურონ თავის საქმეს. საუკეთესო მაგალითს ამ მხრივ ჩვენ ქუთაისი გვაძლევს. ქუთაისში გასულ სეზონში საზოგადოების გულწრფელმა და სერიოზულმა მუშაობამ ისეთი კეთილი ნაყოფი გაამოილო, რომ შემდეგისათვის გზა გაგდევალვა. 1909—1910 წლის სეზონში ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას გაუმართავს ორმოცდაცამეტი წარმოდგენა, რომელსაც დასწრებია 27 ათას კაცზე მეტი, ისე რომ თითო წარმოდგენას ერთაშეურ რიცხვით დასწრებია 510 კაცი. ესეთი ჩინებული სეზონი ჩვენს სცენას არ მოსწრებია. აქ ნათლად დავინახთ, რომ თუ საზოგადოება შეგნებულიდ მოეპყრობა თავის მოვალეობას, საქმესაც სასურველად დაგვირგვინებს. ამიტომაც გულწრფელი მაღლობა უნდა შევწიროთ, როგორც ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას, ისე არტისტებს ბ. გუნის მეთაურობით, რომელთა შეთანხმებულმა და თავგანწირულმა შრომაშ ასეთი ჩინებული ნაყოფი მოიტანა.



## გეზი გზოსნისა

დრამა ხუთ მოქმედებად.

გორგოლება აირველი.

(გაგრძელება)

სურათი III

თამარ. ეს გულმა იცის და შემდეგ კი ყველა გაიგეს.

ლევან. „ეგ გულმა იცის!“ შენმა გულმა არა იცის-რა

და თუ რამ იცის, უეპველად ის უნდა იცოდეს, რომ ძლიერ მალე შეიქმნები ამის მეუღლე და ამის ცოდნა არის უფრო სასიხარულო ვიდრე შენ ეხლა მოწყენილსა ყოველი გხედავს!

თამარ. უწინ გასქდება დედამიწა და უფსა-რულს ჩანთქავს,

უწინ იგი ცა მომივლინებს მებს სასიკვდილოდ,— ვინემ მეუღლე შევიქმნები ამ თავადისა!

მე ეს არსება, პირში ვამბობ, მძაღს, მეზიზება!

ლევან. ენა მოიქცერ, რაებსა ჰპოდავ? ქრა-არჩილ. ოჯ, დამცირებავ!

ლევან. ჩეგნ ყველას გვარუბენ! სხვა დროს აღარ გაიმეორო! როგორ, სჯიუტობ? მერე, ვისთან—კარგად დაფიქ-რდი.

არჩილ. (თამრთს) მაგ აღელვებას ვერ აიტანს ნორჩი ქმნილება

ლევან. (არჩილს) ეგ ურჩიბს მხოლოდ, რაც ქალების ხელობა არის.

მარტო დაგტოვებთ, არ შევუშლი გვრიტებს ალერსსა!

(გადის. უქან გამდევლი მისდევს)

არჩილ. (დიდი სიტუმის შემდეგ ჭებით ადგილი თამრთს მიუახლოვდება)

რად მიშვერთ ზიზლით, ოდეს თქვენთან მარტოკა ვრჩები?

აბა მომხედე, ეგ ტუჩები რას მოელიან:

მხურვალე კოცნას თუ ჩემდამი კვლავ სისასტიკს.

(ხელს მოჭევებს და ჭერის თამრთ სცდილობს თავი გაინთავისუფლოს)

თამარ. (დაბნეულია, სცდილობს თავიდნ მოშორებას) ოჯ, მოეშველე, ნიკო, შენს სატროოს,

ბარბაროსები ძალას ხმარობენ!

(არჩილი რა გაიგეს ნიკოს სასედს, თვით გაუშევებს ხელიდან. თამრთ გაიქცევა)

არჩილ. (ზარდაცემული) „ნიკო, მიშველე!“ დიახ, ასე სთქვა!..

იგი შემისწრობს, სულით არ სცხრება!

ვის შეუძლიან წინ გაღმელობოს,

ფეხით საბრალო გაისრისება!

ყველგან წინ მიღის: მისი მნათობი

ახშობს და ჩრდილავს ჩემს ბედის ვარსკლავს,  
რად ვიტანჯები!.. ერთხელ ალსრულდეს...  
ჩემსა მეტოქეს გავუთხრი საფლავს!..

## სურათი II

### ტბის ნაპირი ქალაქ გარედ.

(სცენის სიღრმეში ქალაქის ნაწილი მთხიანს. ტბის გვერდით გრძაჭა ნატყიათ შეფენდა. მარტენს შერით ადმა-რთულია მაღალი მთა, რომელის გარშემოც ჩშირი, დაბურული ტექა, ტექის ნაპირებზე მდინარე მიკდაჭნება იმ ბიდივთ, რომელიც გრძაჭა ჩამოჭდის, გამოჩნდება ნაკა შეტად დაღინებული და სეგდით შეწუხებული. ტბის ზირას მთვარა. ნაძვის ჭუნძს დაეკრძნობა და დიდხანს სდუმს)

**ნიკო.** აი ადგილი,  
უალრეს მიყვარს,  
და აქ განვიცდი  
სრულ ნეტარებას,  
როს გულ ახდილად ამოვსთქვემ სევდას  
და განვამჟღავნებ ღრმა მწუხარებას! (ტბის ზირას წამოწება)

ახ, მთვარევ, მთვარევ! პირნათელო, უხეო სხივებით! რად იყურები დალვრემილი მიმქალ ღრუბლებით? ხომ არვის ექებ? მითხარ, მთვარევ, მფინე ნათელი! მეგობარს ექებ, რომ გაუყო შწარე ნალევლი? თუ სატრფოს ექებ, სატრფოს ამაყს შენებრ გაბა-ღრულს,

ნუ გინდა იგი! სევდას მიგცემს დღე-გახარებულს! (ტბის ზირას წამოწება, გარედ ჩანგურის ხმა ისმის და შემდეგ ირაკლი იძხის: ჭაი, ნაკო!)

**ნიკო.** ვიღაც იძხის.—რა გინდა, ვინ ხარ!  
**ირაკლის ხმა.** შენი ერთგული მეგობარი ვარ!  
**ნიკო.** პირდაპირ წამო და მომაღება!

**ირაკლ.** (შემთდის) სალამი შენდა, მეგობარო, შენ სატრფოსაგან!

**ნიკო.** რაო, ეგ რა სთქვი?  
**ირაკლ.** სალამს გიძლენის!..  
**ნიკო.** ვინა?  
**ირაკლ.** თამარი!

**ნიკო.** ოჭ, ცაო, ცაო!—განა იმას კვალად ვახსოვარ?

ეგ არა მჯერა!  
**ირაკლ.** დაგაჯერებ!  
**ნიკო.** სიტყვა მხოლოდ!  
და განა ჩემს გულს დააშვიდებს მხოლოდ სიტყვები?  
**ირაკლ.** სცდები, ძმობილო!

**ნიკო.** ძლიერ ხშირად სიტყვით გვხიბლავენ  
და გამოვდივართ, მეგობარო, მოტყუებულნ!  
მაგრამ მითხარი, ნუ აყონებ, სად ჰნახე თამრო?

**ნიკო.** დღეს დილით აღრე გამოვიარე იმათ  
სახლისკენ,

იმ განზრახვით, რომ შენი თავი მე იქ მენახა,  
მაგრამ ვერ გპოვე და ის იყო შინ ვპრუნდებოდი,

ხმა შემომესმა თამარისა მაღლა ფანჯრიდან!  
მიგელი ახლოს და დამიწურ მან გამოკითხვა...

**ნიკო.** რაო, რა გითხრა?

**ირაკლ.** ჯერ დამაცალე, ნუ მაწყვეტინებ!  
ბევრი რამ მითხრა და თუმცა ბევრი მათგანი მახსოვს,  
მაგრამ ბევრიც კი დამავიწყდა! აი რა მითხრა:  
ჯერ ერთი ის, რომ შეოთიაო...

**ნიკო.** ჩქარა სთქვი ყველა!

**ირაკლ.** მოუსვენარი, ეჭვიანი..

**ნიკო.** სხვა რაღა გითხრა?

**ირაკლ.** სხვას რას შეტყობი, თუ არ იმას,  
რომ შენ უყვარხარ?

ერთხელ მე და შენ ის რომ ვნახეთ მთვარის ღამეს,  
სწორედ იგი დრო მოიგონა და გულ ამოსკენით  
შეწატრა ზეცას, კვლავ ის წუთი დაპბრუნებოდა!..  
შემდგიგ მალლიდან ჩამოაგდო მან ეს წერილი  
და მთხოვა შენთვის გაღმომეცა ძლიერ საჩქაროდ.

**ნიკო.** ნუ თუ ეს ყველა მართალი არის?

(წერილს კითხულობს)

ძეირფასო ნიკო, გიგზავნი წერილს  
და იმედი მაქეს ეს დაგამშეიდებს;  
ტყუილი არის, რასაც შენ ჰუიქრობ  
რისთვისაც თვალით ჰლვრი ცხარე ცრემლებს!  
შენ ეჭვობ მხოლოდ... ეჭვი ბრმა არის...  
ერთგულ სატრფოთა დამლუპველია;  
იგი ჩენ გვტანჯავს, სულს არ ასვენებს  
და, ვით ლახვარი, გულის მკვლელია!  
მოდი, მამშვიდე, სიტყვა მითხარი,  
გწერს, სამუდამოდ შენი «თაშრი»!

**ნიკო.** ამ, ღმერთო ჩემო! ნუ თუ ყველა ეს  
მართალია?

ჩემო ერთგულო, ეს წერილი, მითხარ, რას ჰნიშვაეს?  
ხომ არ დამცინი, მითხარ სწორე, გამავებინე!

**ირაკლ.** ვაშ აგერ იმ ცამ მომივლინოს თავისი  
რისხვა

და, როგორც მტვერი მთლად ამგავოს მიწის პი-  
თუ გატუებიდე.

| რიდან,

**ნიკო.** ტყუილია ვაშ ის ეჭვები?

**ირაკლ.** შენი ეჭვები? ჭაი, ჭაი, რომ ტყუილია!

**ნიკო.** აღშეუთებულმა სიცბიერე შეცწამე თამ-  
როს!

ომ, მე აგერარდი და შევტობე დიდ შეცდომაში!  
წავალ, მოვიხდი მასთან ბოდიშს მუხლ მოდრეკილი.  
შევევებრები... აი ასე... ბოდიშს მოვიხდი  
რომ მაპატიოს ჩემი სიტყვა... ცილის წამება!

**ირაკლ.** აღსდექი ზეზე! რისთვის აფრევევ  
მდუღარე ცრემლებს...

აბა, რა მოპხდა სამაგისო, სულ არაფერ!  
შესცდი?—რა უყოთ? ვინ არის, რომ არ შემცდა-  
რიყოს?!

წავიდეთ ებლა შინისაკნ და გულფრთხილავთ  
იმ ნეტარ წუთებს მოელოდე, როს სატრფოს ჰნახავ!

(გადან. ტბის შეორე ნაშირზე გამოჩნდებან: არჩილი, დათო, ბესარიონი, გიო, ოქდო და სხვები)  
არჩილ. ასე მოღექით, მეგობრებო, მხოლოდ ფრთხილად კი.  
აწ რასაც გეტუვით, ეს მხოლოდ თქვენ უნდა იცოდეთ.

(გარშემო ადგილებს ათვალიერებს)

ფრთხილად. აქ ჩვენ ყურს არ გვიგლებდნენ. აი, რას გეტუვით:  
დათო. სოჭვი გაბედულად. ჩვენს მეტი არავინ  
არის.

არჩილ. ეხლა რაცა მსურს, მეგობრებო, თქვენ  
გაგიმულავნოთ,  
ის არის მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება,  
რას მეოხებით გული მკვდარი კვლავ გაცოცხლდება.  
რამ განვიზრახე. ის განზრახვა თქვენ ყველას გასწრობთ

და დავინახავთ თქვენს სიყვარულს. გამშეღაობას.

დათო. პირდაპირ გვითხარ, ყველაფერზე მზადა  
ვართ ჩვენა.

არა მარტო ჩვენ. ჩვენთან სხვებიც ბეკრინი არიან.

არჩილ. შენ ხომ ნიკოსა კარგად იცნობ?  
დათო. ვიცნობ, რა იყო?

არჩილ. მეონი, შენც იცნობ ბესარიონ იმ საზოგადოებრი.

ბესარიონ. ის იყო ერთს დროს მეგობარი,  
როგორ არ ვიცნობ.

ხან სწერს ლექსებსა, მას მგოსანსა ყველა ეძახის.  
პატივსა სცენებ და ყოველგან მიღებულია.

არჩილ. არა, მეგობრად ნუ ახსენებთ. იგი  
დიდად შეაგვის.

და მაშასადამე ჩემებრ თქვენცა უნდა შეგძაგდეთ.  
დათო. მაინც არ მესმის, თუ რაც გინდა მა-

გით გამოსთხევა.

მაგრამა ვერძნობ კი სისისტიკეს გამოამულავნებ  
არჩილ. ის უნდა მოკვდეს.

დათო. უნდა მოკვდეს?

არჩილ. რისთვის გამჭითრდი?

დათო. მე შემაძრწუნა მაგ სასტიკმა შენმა  
განზრახვად.

არჩილ. დათო, არ იცი თუ სიკვდილსა რის  
თვის მივმართე.

მაშ გამიგონე. (შეგრძერებს) და თქვენც ყველამ ყური  
დამიგდეთ.

შენ კარგად იცი ქალი მიყვარს ლევან მდიდრისა,  
მაგრამ მის ქალს კი დასანახად მე ვეზეზლები.

შერქ, იცით თქვენ მიზეზი მე სიძულვილისა?

მიზეზი, დიახ, ნიკო არის, ჩემი მეტოქე.

ეს ყველამ ვიცით ბრძოლით ვპოებთ სოფლიდ სა-

სურველს  
და, აი, სწორედ ბრძოლა არის აქაც საჭირო.

ნიკოს მოვკლოვ და თამროს ჩემსკენ გადმოვიტორებ.

ცველანი. მოკვდეს, მოკვდეს, ძლიერ თაეს  
იღებს...

ბესარიონ. თუ ნებას დამრთავ, მე შას ერთი  
გავუსწორდები.

არჩილ. არა, ჩემს მტერსა მინდა თვითონ  
მოულო ბოლო.

ბესარიონ. ვაჲ, თუ შენიშნონ და თამარის  
ალარ მოგცემენ

მაშინ ლევანი არ ისურვებს სიძედ კაცის მკვლელს.

არჩილ. მაგისათვის კი, მეგობრებო, არ შევ-  
წუხდები.

რა მომესპობა მე მეტოქე, გზა გამესნება.  
და ნებით ნუ მომცემს ქალს ლევან მდიდარი.

ძალით მოვიპოვ რასაც ნებით ველისებოდი.

(შორს იცტირება)

აგერ, ხომ ჰედავთ იმ მაღალ მთას თოვლით და  
ფენილს.

იქ, მის გარშემო სამოთხისებრ ჰყვავის ბუნება  
და ათასფერად ყვაილები ტურთად იშლება.

იქვე მთის ძირში მდინარეა კარგა მოზრდილი  
და სიჩუმესა არღვევს მისი შეუილი.

მთის მწვერვალობზედ, ფრიალოზედ ციხე-კოშკი  
სდგას

და მედიდურად გადაჟურებს იმ არემარეს.

არ ვიცი, იგი ვის ეკუთვნის, ვინ ააშენა.

მისი კედლები შემოსილია მწვანე ხავითა

და იგი მოწმობს, რომ დიდიხნის აგებულია

და, აი, თამრთ თუ არ მომცეს, იქ გავიტაცებ!

ეხლა წავიდეთ, მეგობრებო, და რაც აქა ვსთვეით  
ის სისრულეში მოვიყვანოთ ჩვენ ყველამ საქმით!

ის ლაპარაკი შაშინ დაფასდეს,

როდესაც იგი საქმით აღსრულდეს!

ბესარიონ. მაგ განზრახვაში ჩვენ ხელს შეგი-  
წყობთ,

შენთან გავიყოფთ ჭირსა და ლხინსა!

არჩილ. (ქისას აძლევს) აჲა, ეს ფული თქვენ  
მოიხმარეთ

დათო (თავისითვის) მაშ უნდა მოკვდეს ნორჩი  
არსება,

გამოესალმოს წუეთი-სოფელსა;

იგი საბრალო გაჟერება, წავა...

ველია იხილავს მზის სინათლესა!

და რომ გადარჩეს, ვინ იცის შემდეგ

ნიჭმა რა რიგად გადაითურჩენს;

სოფელსა დიდი განძი შესძინოს!

არჩილ. დათო, რაზედ ხარ ჩიფიქრებული,

ან სახე რისთვის გაგფითრებია?

გემცნევა, რაც ვსთვე, არ თანამიგრძნობ,

ჩემთვის სიკეთ არ გდომებია!

დათო. არა. მე ისე, მხოლოდ ვფიქრობდი  
და მაშინ ფუქრმა შორს გამიტაცა;

შემახსა ფრთხები, ოცნებით სავსეს,

და, ვით ფრინველი, ცას ამიტაცა!  
ვფიქრობდი, მითომ შენი სურვილი  
და ეგ განზრახვა აგსრულებოდა;  
მითომდა ნიკო მოგვეყლა კიდეც,  
მაგრამ თამარი არ გნებდებოდა!

**არჩილ.** თუ არ დამნებდა, მაშინ მე ვიცი!..  
ყველაფერს შევძლებთ შეერთებულნი

**ბესარიონ.** შენ წინ გაგვიძებ, თუ კიღალატოთ,  
ვყიყოთ წყეულნი, შეჩერებულნი!  
მაშ მეგობრობა რით დაგიმტკიცოთ,  
თუ სამსახური არ გავიწიოთ?  
რომ არ ვუმტკუნებოთ, ყველამ შევფიცოთ!  
**ყველანი.** ვფიცავთ მაღლა ცას, ძირს დედა-  
მიწას

ვფიცავთ ჩვენს ძმობას და მეგობრობას,—.

რომ არ ვუმტკუნებოთ ჩვენ შენს განზრახვას!

**არჩილ.** მაშ გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას!  
**ყველანი.** გაუმარჯოს!

(დათოს მეტი უვეფანი გადან)

**დათო.** (დრმ ფექის შემდე)

ოჲ, არა, არა! ტურფა ბურებამ  
მე სუსტ არსებად არ გიმაჩინა!  
მე თვით ვიქმები ნიკოს მფარველი  
და ავმხედრდები მათ სურვილთ წინა!  
ბოროტგამზრახველთ გული უარს ჰყოფს  
და ვგრძნობ მოვიმკი მე კეთილს ნაყოფს!..

ა. შანშიაშვილი.

(შემდეგი იქნება)



## საზოგადოებრივი დაცემა

— ፩ —

იშვიათია ისეთი ერი კვენიერებაზე, რომელიც  
მუდამ თავისუფალი ყოფილიყოს. თითქმის ყოველ  
ერს გამოუვლია ხანგრძლივი თუ ხან მოკლე მონა-  
ბა, მაგრამ ერი, რომელიც თავის ვინაობას აფასებს,  
მონაბაშიაც კი ქედს არ იხრის და ცდილობს თა-  
ვის უფლება და თავმოყვარება დაიცვას. არაფერი  
ისე საზიდარი დღ შემაძნწუნებელი არ არის, რო-  
გორც ის მოვლენა, როცა მონა თავის მონაბას  
ქებას ასხამს, ბედნიერების შარავანდელით ამჟობს.  
ისტორია უცვლელი რამ არ არის. არავითარი  
გარეშე ძალა საშიში არაა, სანამ თქვენ გულში  
ჭია არ დაიბუდებს არ დაგცემთ და თავმო-  
ყვარებას და იმედს არ წაგართმევთ. ქართველი  
ერი დღევანდელი მოვლენა არაა, მისი ისტორია  
ათასი წლისგან ითვლება. ამ ხანგრძლივ ისტორიულ

არსებობაში მან შექმნა განსაზღვრული კულტურა,  
გამოიჩინა თავისი უნარი არსებობისთვის ბრძოლა-  
ში და მაშინ, როდესაც არა ერთი ერი ჩანთქმულ  
იქმნა საერთაშორისო ბრძოლაში, მან თავისი სახე,  
თავისი ვინაობა შეინარჩუნა. და ყოველი ქართველი  
რომელსაც დღეს ქართველობა არ დაუხურდავებია  
სხვა და სხვა საპირადო საქმეზე, ვალდებულია ამ  
თავის წარსულს, ამ ხანგრძლივ წვა - დავით გამო-  
ქმედილ უფლებათ თავის არ ებობისა პატივი სცეს,  
დაიცვას უკეთეს მომავლის მოლოდინში. ჩვენში კი  
სულ სხვას ვამჩნევთ. ჩვენი საზოგადოების ერთი ნა-  
წილი ისე გაიხრწნა, ისე დაეცა და გათახსირდა,  
რომ „ვაშა ვაშას“ შესახის იმათ, ვინც ჩვენ არსე-  
ბობას გზაზე გადაეღობენ და სრულს მოსპობას ვერ-  
კადინ. დენაციონალიზაცია, ჩვენი ეროვნული და-  
რღვევა არ გამოიხატება მარტო ერთს რომელიმე  
მხარეში. ერის ცხოვრება მეტად მრავალმხრივია და  
როცა ეროვნული წყობილება იშლება, ეს შლა შეე-  
ხება მისი არსებობის სხვა და სხვა მხარეს. ყოველ  
უწინარეს ჩვენში დაარღვიეს სახელმწიფოებრივი შე-  
ნობა, მოისპონ ძელი აღმინისტრატიული განწყობილე-  
ბა, მოისპონ სამართლი, აღმიცენებული ჩვენს ისტორი-  
ულ არსებობაზე, მოისპონ დამოუკიდებელი ეკლესია,  
რომელსაც დიადი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ისტი-  
რიულ არსებობაში, მაგრამ განსაკუთრებით ისტე-  
მატიურად დევნილ იქმნა ეროვნულ არსებობის დე-  
დაბოძი — ენა.

ქართული ენა განდევნილ იქმნა აღმინისტრა-  
ციიდან, სასამართლოდან, სკოლიდან, მას არსებო-  
ბის გზას უკრავნ. ბოლო დროს იმდენად გაკა-  
ლინიერდნენ, რომ კიდეც უპატიურად ისენიებენ.

ფაქტების დასახელება აქ მეტიცა. მაგრამ მა-  
ინკა არ შევიძლია ერთი ფაქტი მაინც არ მოვიყვა-  
ნოთ. მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ისტორიაში საზო-  
გადოდ ხეობებს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა,  
ყოველი ხეობა ერთნაირი ბუნებრივი სიმაგრე იყო,  
სადაც ხალხი უმრავლეს მტერთა შემოსევის დროს  
ბუნებრივ თავშესაფარი ჰქონდა. უთვალავი ნანგრევი  
ციხეთა და ეკლესითა ნათლად მოწმობს, რომ ბორ-  
ჯომის ხეობასაც დიდი როლი უთამაშნია ჩვენს ის-  
ტორიაში. დღეს კი, წარმოიდგინეთ, მოქლ ბორჯო-  
მის ხეობაში არ მოიპოება არც ერთი სასწავლებე-  
ლი, სადაც ქართულ ენას ასწავლიდენ, გარდა ერ-  
თის სამრეწველო სკოლისა. ამ გარემოებამ ისე დასცა  
ქართული ენა, ისე შეერა გზა ქართულ წერაკით-  
ხეას, რომ ჯარის კაცი თავის მშობლებს წერილს  
სწერს ქართულ ენაზე, ხოლო რუსული ასობით.  
ამაზე უფრო გადაგვარების გზაზე შორს წასელა განა  
შეიძლება?

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ გადაგვა-  
რების გზაზე უფრო შორსაც მიედინართ. არი  
დღის წინადარღვილის თავაღაზნაურთა კრებაზე  
ერთმა წევრთაგანმა ქართულად ლაპარაკი მოინდო-

შა. თავმჯდომარებ, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვანმა, რომელიც ყოველთვის ჰქალებს, რომ ის დამცველია ჩვენი ტრადიციის და თავმოყვარეობის, მოლაპარაკე გამარტინი და წინადაღება ზისკა ქართულად არ ელაპარაკა. მაშა ქართველს თავისივე თანამომქმეთა კრებაზე თავის ენით ლაპარაკი არ შესძლება. განა ამაზე შორს წასვლა კი დევ შეიძლება?

და ის სწორედ ამ დროს გამოდის ადამიანი, რომელიც არა ერთხელ გაგონებთ: მე ოცდა ათი წელიწადია საზოგადოებრივ ასპარეზზე ვმუშაობ და ყოველთვის ჩემი დევიზი პირდაპირობა და გულ ახლილი ლაპარაკი იყოვო. მე არ ვარ შეჩვეული ჩურჩულს და ორპირობასო. ეს გულახლილი რაინდი გხელავთ ფრიად ენაწყლიანი, გრძლად და ხშირად მოუბარი, მაგრამ ოცდა ათი წლის განმავლობაში მინც გამოუტკვეცელი საზოგადოებრივ სახის მატარებელი ბ. მიხეილ მაჩაბელი. და ის ბ-ნი მაჩაბელი საზოგადოებრივ კათედრიდან საყოველთაოდ აცხადებს: «ქართულ ენას არაეითარი შიში არ მოელისო».

ის დასკვნა ოცდაათი წლის საზოგადოებრივ მოღვაწეობისა. მაგრამ ესეც ცოტაა. იმავე კრებაზე ნათლად ირკვევა, რომ მესამაცე წლებში დაიწყო ჩვენში მიწის გამიჯვნა. ამ გამიჯვნამ ჩვენს მოქალაქობრივ ურთიერთობაში შეიტანა საერთო არევ—დარევა. თქვენ ასი წლობით მამულს ჰქონდეთ, თაობა თაობას მოჰყება ამ მფლობელობაში, ხოლო მთავრობა ყველგან სახელმწიფო მიწას ექცებს, ყველას ედავება. ეს დავა მთელ ჩვენ ცხოვრებას აფერხებს, იწვევს საოცარ ხარჯებს, ხალხის გაღარიაკებას, უფლებრივ რევეს და სადაო მამულების გავრანებას. ეს მიხეილ მაჩაბელმა მშვენივრად იცის მაგრამ იმავე დროს აცხადებს: „არ არის წერტილი, სარაც ქართველთა ინტერესები ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო ინტერესებსო.“ სახელმწიფო გაუყენებული რამ ხომ არ არის? ჩვენ ყველ ფეხის გადადგმზე ვგრძნობთ მის გვლენას, მის მოქმედებას და თუ თქვენ ვერაეითარ საწინააღმდეგოს თქვენი არსებობისათვის ვერ ჰპოვებთ მის მისწრაფებაში, მაშინ საღადაა ეს თქვენი მამული-შეილობა? ან ვინ ხართ თქვენ? სად არის ეს ჩვენი ინტერესების დაცვა? ჩვენ გვესმის, რომ ჩვენს საზოგადოებაში არა ერთნაირა შეხედულება ინსებობს სამშობლოს შესხებ, გვესმის, რომ ასეთ დაქუცმაცების დროს ყოველგვარი არევ—დარევა შესაძლებელია, მაგრამ შეუწყნარებელია, როცა ჩვენ თვითონ ჩვენს უფლებებს უარყოფთ და ვადასტურებთ იმას, რაც ჩვენ წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ რას იხამო? აქა ჩვენი საზოგადოებრივი დაცვა და დაძძუნება.



## სიმაზის ჭერი

ღრამა 4 მოქმედებად. 6. შუიკაშვილისა

გო გო დ ე ბ ა გ ე ს ა მ ე

ბადი და ეზო ძნელაძის სახლთან. მარცხნივ სახლის ერთი პედეზი და ქარები. (დარია ზის და პესავს, შემოიდის თომა: სახლში შესვლა უნდა. ხელში ქალადები უკირავს.)

დარია. აქ მოდი, თომა.

თომა. რა გინდა? (მიუახლოვდება.)

დარია. ცედლიდებას ვერს ამწევე სინას?

თომა. ბრძან ხომ არა ვარ!.. სან თავ-შირი ჩამოსურავის, ხან გადარუელივით შეიარული!

დარია. მაზეზი იცი?

თომა. მაზეზიანის მაზეზი ღმერთმა იცის.

დარია. გასთვების უარი უთქამს....

თომა. უარი?

დარია. გასთ გამოსტეხია—წინად ერთ ქალთან და მოგადებულობა შექნდათ... სინასაც ცივი უარი განეცხადება ცოლაბაზე.

თომა. (სასოწარევეთილებით) ადარ გიცი, რა ვქნა, ერთ დღეს რომ ჟარარა შედაგათ მომეცეს, მეორეს რომ იმოდენა ცანჯვა დამიწება!.. რა ვქნა, მითხარ, რავქნა?... თუ ჭერიდგან არ შემშალეს არ ვაცი!..

დარია. დამშევიდიდი, თომა...

თომა. როგორ დამშევიდდე, რომ ერველ დღე ეს თხერი ბედი (ბრაზით) წიხლს მცემს.. წიხლს... წიხლს!.. (ფეხით უჩვენებს) წიხლს!.. (პაუზა) ფასთ ისე მომწინეს... ძღიეს ჩემმა გულმაც ჟარარა გათხარა და აჭა!.. ისევ წიხლი... წიხლი!.. (ცეცხლ ფეხს)

დარია. ქედანდელი ქალები სხვა ნაირად...

თომა. (ბრაზით) სხვანაირად, სხვანაირად!..

დარია. შეელაპრაე როგორმე, იქნება შეაგნებით!..

თომა. (მწარელ) ხა, ხა, ხა!.. მე გამოტვინებული ბურჯვა და... რჩევა!.. ხა... ხა!.. (ბრაზით) მე მაგათ გორი ვარ... სახალქნეს ქვეშ უნდა ამომძერეს სეჭი, რომ მაგათ ერვერთა ტექშნით... აი ჩემი მოვალეობა!... რჩევა, მამა-შეიოლური მუსაიფი... (გაიქნევს ხელს და შედის სახლში.)

დარია. მოიცა!.. (მისდევს უკან)

(ცოტა ხან ს ცენა ცარიელია. ყვირილით შემორბის გიორგი, უნდა ხეს მოეფაროს; შემორბის სონაც და ბურთს მიარტყას; ისევ გაიქცევა. გიორგი დაავლებს ბურთს ხელს და გამოუდგება სონას! სცენა ისევ ცარიელია, ისმის გიორგის და სონას უიგილობელი. მეორე მხრიდგან შემორბის დაქანცული სონა; უკან ბურთით მოსდევს გიორგი)

სონა. (ჩაჯდება. სულის ძლიერ იბრუნებს) და გოდალე!.. მეუფაფა, გოთრგა!..

გიორგი. (აჯავრებს) მეუფაფა!.. უშნო ხართ ქალები, უშნო!.. (ბურთს უმიზნებს) მოიგავე თითი!

(სონა იყავიას) განა!.. იცი, სონა, ერთხედ მოქლი გიმიზზია ქალაქ გარეთ წაგვიუგანეს სასეირნოდ. გაემართეთ ბურთათა... ერთი ახალგაზრდა მასწავლებელიც ჩა-ერა თამაშობაში... ღრთ მოვიმარჯვე და შეგ შლიაპაში დაფაქტურ ბურთო! ხა ხა, ხა!...

**სონა.** ჭავრი გიტრდა?

**გიორგი.** არა, გევლას გვიუგარდა!

**სონა.** მაშ რას ერთოდი?

**გიორგი.** მანც მასწავლებელია!...

(სონა უცებ გამოსტაცებს ბურთს, მიარტყამს და გარბის. გიორგი დასტაცებს ბურთს ხელს და უნდა ესროლოს, მაგრამ სონა შეეფეოთბა საბას.)

**საბა..** ხე, ხე, ხე... სცელქაბთ... გიხდებათ!..

(სონა და გიორგი აიშურებიან, ასე გვინია, ავი სული დაინახესო. გიორგი ბურტყუნით გადის. სონა გამშრალი დგას) რათ შემწევიტეთ? მშევნეობა სანახავია, როცა... (საძაგელის ალერსით) თქვენისთანა მომხიბლავი ბაჟშვი ცელქაბს....

**სონა.** (უცებ) მოგწონართ?...

**საბა.** თქვენ... თქვენ?.. აბა სიტუაცია როგორ გამოგთქვა... .

**სონა.** მაშ,.. (საშინლად გაფითრდება).. შემირთეთ.

**საბა.** (გაოცებული) როგორ? დამცინით -თუ?

**სონა.** (ხელს გაუწვდის, თვითონ დაბლა იყურება) აა ჩემი ხელი...

**საბა.** (ხელს ჩამოართმევს) მე... გონს გვრ მოკულევარ... .

**სონა.** (ზიზლით ხელს გამოგლეჯს) მოდით,.. აქ მიყიდაშარაკათ... (წინ მიღიან, სხდებიან.) მე არ გე-ხუმრებით... გწებავთ თუ არ შემირთოთ?...

**საბა** მე... ბედნიერად ჩათვლიო... მაგრამ ის?..

**სონა.** იმის ცოდლისა ადარ შემიძლან.

**საბა** ხომ გიუგართ...

**სონა.** (გააწყვეტინებს) მაგაზედ წე ვილაპარა-გბთ... ამასც გეტებათ—შე თქვენ არ მიუვარსართ... თანახმა ხართ?,..

**საბა.** შე... არ ვიცი... არ ვიცი... თუ ეს სიზმარა... ასეთი ბედნიერება...

**სონა.** კიდევ ჰირთა: საჩუქრდ მამი ჩემის ვალი უნდა მომიტანთ.

**საბა.** დიდი სიამოგწებით..

**სონა** მაშ წალით და ის ბარათები მომიტანეთ... მერე ჩემ დადაშის სთხოვეთ ჩემი ხელი... .

**საბა.** (სიხარულით წამოგდება. მიღის. დაბნეულია. უცებ შედგება და მობრუნდება)... თქვენ არა ხელობთ?

**სონა.** (მეაფიოდ) არა. (საბა გაოცებული მიღის და რაღაცას ჩურჩულებს; სონა გაფითრებული საბას თვალს გააყოლებს. პატარა. თომა სახლიდგან გამოდის და აჩქარებით სადლაც მიღის. შეამჩნევს სონას და უცებ ბრაზით მიუბრუნდება)

**თომა.** აა გინდათ ჩემგან, თქვე მასინჭებო? (სო-

ნა გამშრალი შეკუპურებს) აჟა, ამოშიშვილეთ, ამოშიშვილეთ... (ტირილის ხმა ისმის. უცებ გაბრუნდება და მარტად გავა. სონა ისე ისე დგას. შემოდის ვასო, ჩაფიქრებული, გამშრალი)

**გასო.** (დინჯად მიუახლოვდება) სონა... (პაუზა) შე აქამდის გელი გერ დამიჭვებია, ვითომ შენ სიუვარულება იქამდის გაგორაცა, რომ გასათხოვარი ქალის უმარტება დაჭმარებები... გერ წარმოიდგენ, რა ბაროტება ტრიადებს ჩემს გულში... ჩემი ბედნიერება სიზმარივით-და მასხსენებ..

ერველი ის. რაც შეადგენდა ჩემს იმედს, სიცოცხლეს, მზის შექმნა, სადღაც შრომის ჩატანა და დაურჩი მარტო... უიუდობის ჭურღმულშია.., თვალის ჭაჭლებიცა სიციით მეუნიება... ტვინიც ადარ ხურს... გაითხა... ტანგასაცა-კა გელარა ვერმონდ, მხალეობ მცირეა.. მცირე...

**სონა.** (ისე ისე გაშეშებული) მარტო ტუჩებით ლაპარაკობს.) დაივიწევ... მაპარიე..

**გასო.** (სასოწარკვეთილებით) გონებაც მაგას შეუბნება, მაგრამ გრძნობა არ ერთობილება.. რათა სოქვი?.. რატო არ მოჰატეუებუნდება?.. ესტა-გი... არა, არა... უოველი შენი შეხება... ალერის მომაგონებები, რომ (საშინელის ტრანჭვით) შენ სეჭტაც ქალ-წულალბზედ სხვამ იმედა... იმედა შენისავე სურვილით... არა—ამის დავიწევება შეუძლებელია... შესამით ძალა-რიბილი გაიუდენთა და მხალეობ მსათას ერთად განეცდება მიწაში...

**სონა.** (ჩუმალ) მე?

**გასო.** არა, არა, სონა. შენ გერ წარმოიდგენ მაშა-გაცის ამ გრძნობას.

**სონა.** ქალისას?

**გასო** (სასოწარკვეთილებით) ას, ღმერთი.. როგორ აგისხნა... როგორ დაგანხოვ განსწავება... .

**სონა.** დაას, შეუძლებელია.

**გასო.** მაშ რა დაგვრჩნია... შითხაო...

**სონა.** მე სხვაზედ გათხოვება და თქვენ... ჩემი შეფარება.

**გასო.** არ შესმის შენი სიმეტრე.

**სონა.** მე საბას უკვე ჰირის მიუვეცა... (უცებ გაბრუნდება და სახლში შევარდება) (ვასო თავზარ-დაცემული დგას, მერე უკან გამოუღება. სურა ცოტა ხანს ცარიელია. შემოდის ილიკო და მარო.)

**მარო.** შევაღეთ, ილიკო, შენი ჭირიმე.

**ილიკო.** მე აქ დავრჩება.

**მარო.** არა, არა, შენც მაშელე.

**ილიკო.** რითა გიშეველი, ქალო?.. (დაცინვით) მა-გისთანა „მაღალ“ მისაზრებას მე ვერ შევიგნებ, ვერც გაუმკლავდება. თათხანც არ იცის, რას სხვის... .

**მარო.** ილიკო, შეტაც არის გამწარებული სონა.

**ილიკო.** მესმის, მარო. ძნელი, ასატანი უნდა იუს, მაგრამ ვასოსთანა უმაწველს უარი არ ეთქმის.

**მარო.** (ჩაფიქრებული) მამა-კაცები ძალას ადგი-ლად სწევებავთ ამ საკათხს..

**ილიკო.** სრულებითაც არა. უველა ცოტაა მანც პატარებული განუვალება და სისანულით იგანებას თავის წარსულს, მაგრამ ცხვერება, დოქებას წესარგა საშანე-

დი ძალაა და მძა-კაცის თავ-დაშტერლობა თითქმის აუცი-  
ლებელი ხდება... შე შენობის ცედი ქმარი და შეგთანი  
ჟარი? გასათხოვარ ქალად დარჩენა გნა უმჯობესი იქნებო-  
და, ვადრე ეხლასხელა შენი ქმარ-შევალიანხლა?

**მარო.** სონა უფრო გრძოლებული ქალია... უფრო  
სათუთა გრძნობა ქმნება...

**ილიკო.** არა. სონას თავში მხოლოდ ორიოდე „ახა-  
ლი“ აზრი ტრანდებს შეტყი, გადრე შენისაში... უკუელი  
ხსნა რამე ახალ საჭარ-ბოროტო საჭითხებს წმინდაუნებს  
ხელშე; ჭეშმარიტების მოტრიდალენა ეცემიან ამ ახალ  
გზას და ახალ მისართულებას ითვასებენ უფრო თავისი  
ადგ ზნუბული გრძნობით, ვადრე გრძნების თანა-დახმრებით.  
ათასობით შესტერდეს იწინავს ეს ასალი პერშა იმისთვის,  
რომ ასი-არასი წლის შემძებელ უარესობით იქნეს ამავე  
ხალხისაგან, ასეთი უფოლის მრავალი სირწმუნობრივი,  
პალიტრიუმი და ზნებობრივი საკათხები.

**მარო.** (ხელს დაუჭერს და ხელში) მანც წა-  
მოდა, ილიკო... ქნება გაფრწევა რამე.

**ილიკო.** აა, წამდი, მარაშ შე განუშებული ვი-  
ჯება... (შედიან სახლში)

(შემოდიან საბა და დარეჯან. ეტყობათ მხეცური  
კმაყოფილება, რომ ხელში მტრედი ჩაუვარდათ. საზი-  
ზლრად ხითხითებენ)

**დარეჯან.** მაშ გერე... გაება?... ხი, ხი, ხი...

**დარეჯან.** დიდ უარზედ-კი იყე ქალბატონი და...  
საბა. თათხებე გაუთ თავი... ხე, ხე, ხე...

**დარეჯან.** ხი... ხი, ხი... ჩატარა გუჭი მანც გაუ-  
ძება... ხი. ხი. ისე ჩატარე გლანცები, რომ... (გამ-  
ხმარ თიანებს საზილრადა პკვლანჭავს)

**საბა.** (ისიც თითებსა პკვლანჭავს) სენთქეს შე-  
უწუთავ...

**დარეჯან.** (კილოს იცვლის) გააგება, რომელმა  
დაანება თავი?

**საბა.** რაში შეგათხება.

**დარეჯან.** (გველურად, საიდუმლოდ) ქნება იმ  
სტუდენტმა ისარგებლა და...

**საბა.** (ფითრდება) ჩაფარების ამ თათებით...  
გრძელებით გამოვდარი უეღს... (პაუზა) შენა გვთხია,  
რომ...

**დარეჯან.** შეარა მგთია რა,— მაგრამ შესაძლოა...

**საბა.** იცი რა?.. მაგრამ არა... მაგაზედ დამარავი  
რომ დაუწეო, შეიძლება იწეონს და... ხელიდგან გამი-  
სხლებეს.

**დარეჯან.** (გველურად) მართალია, მარაშ...  
სასტუდენტის სტუმარი რომ გახდება?

**საბა.** მაშინ... (კბილებს აღრკიალებს) დავხსრჩოდა..  
ჭერები ჩემად... (პაუზა, მხიარულად) გა არა მგთნია  
სატრისტების ჩამეულები არაა... გამოშიარებულდა, რომ  
იყოს რამე... ხე, ხე, ხე...

**დარეჯან,** ხი, ხი, ხი... მეც გერე მგთხია...

**საბა.** ეხლა შენ სახლში შედი და შემოდები აქ  
გამოშიარებულება.

**დარეჯან.** გარგი, (მიღის. კარებთან შედგება  
და მობრუნდება. ხითხითით და თითქმის კვლანჭით)  
მაგრა ჩაუვარე... ხი, ხი, ხი...

**საბა.** ხე, ხე, ხე... ეგ მე ვიცი... (პაუზა) მაშ  
გერე, შეზანო... შენი დაგეცა თენდება... ხე, ხე, ხე... გა-  
რებიდი დედაგაცებიც-გა ზიაზიათშ იქირავებდნდნ თავიანთ  
გათელიდ ტას და ეხლა ეს... ხორჩი, ხელ-უხლებელი  
ბავშვი!, შეპრული... შეპრული... გასაფურჩქინი!.. (მხე-  
ცურად, ტანის უწმაწური მოძრაობით) უკე.. (კბი-  
ლებ შეკრული) თვალი მაბიუდება, როცა წარმოვიდ-  
გენ მის უმანგო სხეულს ამ კლანტებში! (თითებსა სძა-  
რლევას) მთელი მდერნობითი სქესის ჯვარს ამზედ გა-  
ური და, თუ მაგან ხემში დაგუბულ უინს გაუძლო, ქალი  
ეშმაგი ერთიანია!.. (სახლილგან აჩქარებით გამოდის  
ვასო და პჭრ-ლაპირ საბასთან მიღის)

**ვასო.** სწორედ თქვენა სახეა მინდოდა...

**საბა.** ხე, ხე, ხე!.. რით შემიძლან გემსახუროთ?

**ვასო.** თქვენ სონას ირთავი?

**საბა.** დაახ... ეგ სონას სურვილია!..

**ვასო.** ეგ შეუძლებელია!

**საბა,** მაზუზი?

**ვასო.** მეტი ჯავრისაგან სონა გთავის ჭიგზედ არ  
არის და თითხაც არ იცის, რას ს სჩადის!

**საბა.** ეგ იმის საქმეა.

**ვასო.** თქვენ ნება არა გაქვთ ისარგებლოთ მისი

უკადურესი მდგრმარებით.

**საბა.** ეგ ჩემი საქმეა.

**ვასო.** სონას თქვენ ეზიზზღებით.

**საბა.** არც ეგ არის თქვენი საქმე.. საზოგადოდ...  
გაერქალდავთ სონაზედ დაპარაგას.

**ვასო.** (ატაცებული) მე თქვენ ნებას არ მოგ-  
ცეთ...

**საბა.** (ყრუდ) დედა-მიწა რომ შეაზედ გაირღეს,  
ცა თავზედ ჩამოქანებეს, მთელი ფოკოსეთი რომ წინ  
გადამიდგეს—უერს ეკრ მაცელევინებს და შენ... სუსტო  
მატლოდ... ჭიავ, გზაზედ მეღობები?.. ჩამოშეცალე...  
გაგსრება...

**ვასო.** (გიგით მიიღეს) მხეცო, მე შენ...

**საბა.** აღელვებული, გველივიდ ცივათ, ჩაშტე-  
რდება თვალებში. ვასო შემკრთალი უკან დაიხეს) ხე, ხე, ხე...

**ვასო.** (შეზარული უკან-უკან იწევს) ღმერთი...  
სონა და ეს... ეშმაგი...

**საბა.** (თვალს არ აშორებს და სატანასავით) ხე,  
ხე, ხე...

**ვასო.** (უკან-უკან მიღის) ღმერთი. დაიფარე... (უცებ  
გაბრუნდება და გავა)

**საბა.** (თვალს გააყოლებს) ხე, ხე, ხე... (სახ-  
ლილგან გამოდის დარია,

**დარია.** უკაცრებად... თქვენ თურმე აქა ბრძანდებით  
და მე-ეგა...

**საბა.** (მოწიწებით ხელს ართმევს) ხე, ხე, ხე...  
იქ მგონა სულ ახალ-გაზრდობა შეკრებილი და მე აქ...

**დარია.** დაბრძნდით... თომაც ეხდა დაბრუნდება...  
(სხდებიან)

**საბა.** როგორა ბრძნდებით?

**დარია.** ეს რა გვიტირს... გასლავართ... თქვენ  
როგორდა ბრძნდებით...

**საბა.** შეც არ ვიცი... მე ეხდა ისეთი ადელებული  
ვარ, რომ...

**დარია.** რა მოხდა?

**საბა.** ქ. დარია, გთხოვთ, როგორც დედას, სონა  
მოშევთ...

**დარია.** სონა მოგცეთ?

**საბა.** დაახ!

**დარია.** ცმადლიბოთ უკრადებისთვის. მაგრამ...  
სონას უკეთ საქმით ჭეაჭეს... (შემოდის თომა) ა თომაც...

**თომა.** ბ. საბას ვასლავარ!..

**საბა.** გამარჯობა... (ხელს ართმევს) როგორ მო-  
გიყითხოთ?

**თომა.** ეს... ჩენ რა მოსაკითხნი ვართ... ჭეაჭეს  
უბედურებას ჩენთვის მოუცდა...

**საბა.** ბედის მომზადარი ბევრია, თომა,

**თომა.** არა, ბ. საბა, ჩენთვის შეტანა მოუცდა  
იმ დალოცვილს..., ისე დღე არ გავა, რომ თავში არა ჩა-  
მორას.

**საბა.** ეს, თომავ, ხევა სხვის ამში მამაცია.,

**თომა.** (წრეულად) გეზიაცებით, ბ. საბა, მირველ  
უცნობს გაუცელი ჩემ ბედს.

**საბა.** ხე, ხე... გამოცდილი გაცი სარ—არ  
უგზენის ეგეთი დაპირავა...

**თომა.** რას ვდგევართ... დაბრძნდით... (სხდებიან)

**საბა.** ა, ჩემთ თომა, ეს იურ ეხდა მოვახსენე  
შენს მეუღლეს... სონასა გთხოვთ...

**თომა.** (მოიკრუნჩხება და მოწიტებით) აკი მო-  
გახსენეთ, ბ. საბა, რომ სონას საქმით ჭეაჭეს შეთქი...

**დარია.** შეც ეხდა მოვახსენე...

**თომა.** თქვენი უკრადება ჩენთვის დიდი შატრია,  
მაგრამ...

**საბა.** (დინჯალ) მოიცა, მოიცა, თომა... სონას  
საქმით ადარ ჭეაჭე—განა ეს თქვენ არ იცით?

**თომა.** (არეული) არა ჭეაჭესი.. ჭო... დაახ... არა...

**დარია.** ცოტა სხვა საირად გასლავთ საქმე, ბ. სა-  
ბა... იმთ უსიმოვნობა მოუფიდათ. მაგრამ იმედი გვა-  
ქვს... შერიცდებან.

**თომა.** (გახარებული) დაახ, დაახ... იმედი...

შერიცდებან...

**საბა.** (დინჯალ) ეგ ეხდა შეუძლებელია: ისინი სა-  
მუდამდე დაშორდნენ ერთმანეთს.

**დარია** (ლიმილით): უნდა გააქარწყლოს) რა  
ბრძნებაა...

**საბა.** (დინჯალ) სონაშ თითონ მითხრა...

**დარია** (გაოცებული) სონაშ?

**თომა.** (გაოცებული) სონაშ?

**საბა.** (დაცინვით ილიმება) დაახ.

**დარია.** როდის?

**საბა.** დღეს. (სიჩუმე. თომა და დარია ერთმა-  
ნეთს შესცემის გაწილებული) ბ. მენაბდეც გაშო-  
რება—მათი შერიგება შეუძლებელია.

**დარია.** (რბილად) ეგრეც რომ იუს, ბ. საბა,  
ჩენ ჰირთის შოცება არ შეგვიძლიან... სომ შოგეხსნე-  
ბათ, ეხდანდება შეიძლება უბრალი საქმეშიაც ადარ ემ-  
რიალებიან შემთბლებს...

**თომა.** (გახარებული) დაახ, დაახ... მაგის გადა-  
წევება შხალოდ თითონ სონას შეუძლიან... თქვენისონა  
შატრიასინ გაცა-კა არა, მენახშირე რომ აირჩიოს, უარ  
ეგ ვეტვით... ხე, ხე, ხე!..

**საბა.** რასა ვერებულია!.. მე უკვე ვაცი მისი სურ-  
ვილი...

**დარია.** { ვას?

**თომა.** სონასი!

**დარია.** (შეშუოთებული) თქვენ უპე სთხოვეთ  
ცოლობა? (თომა და დარია მოუთმენლად შესცე-  
რიან)

**საბა.** არა! (პაუზა. დარიას და თომას გულზედ  
მოეშვებათ და სიამოვნებით ამოისუნთქავენ) სონაშ  
შირველში გამომიცხადა სურვილი ჩემი ცოლობისა!

**თომა.** { (წამოცვივდებიან განცვიფრებული)  
დარია.

სურვილი?

**საბა.** დაახ!.. ა ამავე ადგილას... ნახევარ საათის  
წინ!.. (თომა და დარია გამშრალნი, აღშუოთებულ-  
ნი დგანან და დაბრეულნი შესცემის ხან ერთმანთს,  
ხან საბას. ვერაფრის თქმა ჟერ მოუხერხებიათ. სა-  
ბა კმაყოფილი, ოვალებ—მოუტული შესცემის)

**თომა.** (ბუტბუტებს) ეგ შეუძლებელია!. ეგ...  
(პაუზა)

**დარია.** (დაფიქრებული) მე ეხდა უველავერ შე-  
სმის... უურ მიგდეთ, ბ. საბა... მეც ქალი ვარ—შესმის  
